# ვაკანსიის № 92903

| | |
|---|---|
| პოზიციის დასახელება | შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი |
| კონკურსის ტიპი | სხვა |
| ორგანიზაცია | სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო |
| კატეგორია | შესყიდვები |
| განცხადების ბოლო ვადა | 25.06.2025 |
| თანამდებობრივი სარგო | 2336 ლარი |
| ადგილების რაოდენობა | 1 |
| სამსახურის ადგილმდებარეობა | თბილისი |
| სამუშაოს ტიპი | სრული განაკვეთი |
| გამოსაცდელი ვადა | 3 თვე |

## ფუნქციები

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვების წლიური გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მიერ, დადგენილი ფორმით წარმოდგენილი წლიური მოთხოვნების საფუძველზე, აღნიშნულ გეგმაში საჭიროებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანას და სახელმწიფო ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება;
- წლის განმავლობაში შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად შესყიდვების საშუალების შერჩევა და შესყიდვების განხორციელება;
- შერჩეული შესყიდვის საშუალებების კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტაციის შედგენა, შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო/საკონკურსო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო/საკონკურსო კომისიის პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა;
- შესყიდვების, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, განხორციელებისას მასალების მომზადება;
- შესყიდვების ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის საშუალებით განხორციელებისას მასალების მომზადება;
- შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პროექტების მომზადება;
- შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვა და შენახვა;
- სატენდერო/საკონკურსო კომისიის ოქმების და სხვა დოკუმენტაციის წარმოება;
- კონკურსისა და ტენდერის შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და გამოქვეყნება;
- საქართველოს კანონმდებლობით, სააგენტოს დებულებითა და სამმართველოს დებულებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება;
- ხელმძღვანელის(ების) სხვა დავალებების შესრულება.
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვების წლიური გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მიერ, დადგენილი ფორმით წარმოდგენილი წლიური მოთხოვნების საფუძველზე, აღნიშნულ გეგმაში საჭიროებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანას და სახელმწიფო ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება;
- წლის განმავლობაში შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად შესყიდვების საშუალების შერჩევა და შესყიდვების განხორციელება;
- შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს თაობაზე სატენდერო და სხვა საჭირო დოკუმენტაციის შედგენა;
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესაბამისი ანგარიშგება;
- ელექტრონული ტენდერების და კონკურსების ორგანიზება და განხორციელება;
- სატენდერო/საკონკურსო კომისიის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა;
- მიმწოდებელთან ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმების უზრუნველყოფა, ხელშეკრულების მონიტორინგი;
- საქართველოს კანონმდებლობით, სააგენტოს დებულებითა და სამმართველოს დებულებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება;
- კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელის დამატებითი დავალებების შესრულება.

## მოთხოვნები

| | |
|---|---|
| მინიმალური განათლება | ბაკალავრი |

| | |
|---|---|
| სამუშაო გამოცდილება | 2 წელი |
| პროფესია | იურიდიული ან ეკონომიკური მიმართულებით |

## საკონკურსო თემატიკა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება;„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება;„შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7
ბრძანება;„შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19
ბრძანება;„თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2
ბრძანება;„სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის
რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის
გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანება;„შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2
ბრძანება;„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27
ბრძანება;„ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11
ბრძანება;„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის №606 დადგენილება. „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანება.„სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ არარეზიდენტ მომხმარებელთა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 დეკემბრის №2380 განკარგულება;„კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილება.„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №458 დადგენილება„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანება.

## კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

| პროგრამის დასახელება | ცოდნის დონე |
|---|---|
| Microsoft Office Word | ძალიან კარგი |
| Microsoft Office Excel | ძალიან კარგი |
| Microsoft Office Access | ძალიან კარგი |
| Microsoft Office Outlook | ძალიან კარგი |
| eDocument | კარგი |

## ენები

| ენა | წერითი უნარები | მეტყველება |
|---|---|---|
| ინგლისური | B1 | B1 |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | |
|---|---|
| საკონკურსო კომისიის მისამართი | მარშალ გელოვანის გამზ. №32, 0159 თბილისი. |
| საკონტაქტო ტელეფონები | 032 297 41 03 |

## დამატებითი მოთხოვნები

სავალდებულოა:
- ადმინისტრაციულ ორგანოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

- კონკურსანტს გავლილი ჰქონდეს სახელმწიფო შესყიდვების სალექციო კურსი ან/და გააჩნდეს შესაბამისი სერტიფიკატი;

სასურველია:
- კანდიდატს გააჩნდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის წარმოების, მათ შორის სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შესყიდვის შეთანხმების პროცესების განხორციელების მიმართულებით გამოცდილება;
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის და სისტემაში ასახვის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;

პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები:
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი (ზეპირსიტყვიერი და წერითი);
- შედეგებზე ორიენტირებულობა;
- დეტალებზე ორიენტაციიის უნარი;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- კომუნიკაბელურობა;;

## დამატებითი ინფორმაცია

აუცილებელია კანდიდატმა:
- განათლება კვალიფიკაციის გრაფაში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შესაბამის გრაფაში მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი;
- კონკურსანტი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან. კონკურსის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.
-

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობისა და სტრუქტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს: www.wine.gov.ge;
- მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოსულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შერჩეული კანდიდატი სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში დასაქმდება შრომითი ხელშეკრულებით.

## გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

- კონკურსის შედეგების შესაბამისად, საუკეთესო კანდიდატის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

## კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება

## სავალდებულო ბლოკები

☑სამუშაო გამოცდილება

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑ენები

☑კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები

☑რეკომენდატორები

☑სამოტივაციო წერილი